გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 253 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 253

ფლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ , მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გაზეთი „ივერია“

1-ლ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე ჯდირს **2** მან. **75** კაპ. სოფლის მასწავლებელთა და სელოსნათათვის,—1 მან. 50 კაპ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა სიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 5 ნოემბერს,

მე-2 სავაჟო გიმნაზიის მე-8 კლასის შეუძლებელ მოწაფეთა სასარგებლოდ,

წარმოდგენილი იქმნება

პიკოვაია დამა

ოპერა 4 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მოწაფეებს მიიღებენ: ქ-ნნი ვიაშემსკისა, დონსკაია-ეიხენვალდი, მიხაილოვისა, შიხუკაია-მიჩენკო, ხარატონოვისა, ზასლავსკისა, ფეერარი და სხვ.; ბ-ნნი სიკჩინსკი, პოლუიანოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვანნინი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი. უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეტეკვიჩი.

ფასები ჩვეულებრივი.

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 6 ნოემბერს,

პირველად სიმპერატ. თეატრის მსახიობის მ. ა. ეიხენვალდის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

კვირას, 7 ნოემბერს,

წარმოდგენილი იქნება

I

M-lle **ფიფი**

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ტ. კიუისა.

II

პაიაცი

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა დეონკავალლოსი.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **„ფენელლი“**, ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კეკლერი.

ტფილისის სათავად-აზნაურთა საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აბხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახორთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახოვთა, ვეზიროვთა, გურამოვთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალოვთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთა, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც სურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიჰმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10) შაბათობით 11—12 საათამდე.—

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს, მცოდნე პირთა დახმარებით, ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები და ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია-დოკუმენტების მიღებისა; თვითონ დოკუმენტებიკი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უფნებელ ყუთში. (5—3)

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—26).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიტოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიიულ ხიბურგიულ ვადმყოფობისა

ზ. ი. ბაბაანასოვი. დიღის 11—12 საათ. ყელისა და ბაგშეთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბეძეიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—საშობათობამი, ხუთშაბათობით და შაბათობამი.

ბ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაქარიანინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

საღამოობით:

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას. 7 საათ.

ს. ტ. არბანიტაკი. 11—1 ს. უკეთუნს სახლში და მსურველთ მასსაცს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნენით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი ჯოსნილიუმისა და ოპერაციებისათვის—მარიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბეძეიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

ბეძეიანიშვილი მიხეილ,—ეორდანგის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სიდამის 6—7 საათამდე.

ბეძელიშვილი კონსტანტინე ეკლესიბეგის ქუჩა. სახლი მიდფოვისა. № 5

ბაბილინ ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდგან სიდამის 5 საათ., ოდგის ქუჩა, № 31.

ბაბაშვილი ბრიგოლ,—ეოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაფაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორანმეფლინქოვის და ბარნის ქუჩის კუთხე, ფოსტის ბინდაბარ შესხიშვილის სახლი, № 18, ოდგის ავადმყოფებს დღეთ 9—11 და საღამოთი 6—8-ზე.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

—

რუსის ჯარების ორგანიზაცია. მას აქეთ, რაც იმედი მთელის რუსეთისა, გენერალი კუროპატკინი, დაინიშნა მთავარ-სარდლად მანჯურიის ჯარებისა და დიდის ოკეანის ფლოტისა, სამხედრო ორგანიზაცია ბრძოლის ველზედ სრულებით შეიცვალა. აქამამდე ზღვასა და ხმელეთის საქმეს განაგებდა ხელმწიფის მოადგილე ადმირალი ალექსეევი, რომელსაც ექვემდებარებოდა ხმელეთის ჯარის სარდალი გენერალი კუროპატკინი და ფლოტის უფროსი ადმირალი სკრიდლოვი. მთელის ეშველებელის მხედრობის და თანც ბრძოლის გაძღოლა ერთის კაცისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ამავე დროს იაპონიამ გვიჩვენა შემდეგი მაგალითი: ხმელეთის ჯარი გაჰყო ოთხ არმათ, პირველის სარდლობა ჩააბარა გენერალს კუროკის, მეორესი—მარშალ ოკუს, მესამესი—მარშალ ნოძუს, მეოთხესი—გენერალ ნოგის, ხოლო საზღვაო საქმეები—ტოგოს, და უმთავრეს ხელმძღვანელად ხმელეთისა და ზღვის ომისა დანიშნა შარშალი ოიამა. ეს კაცნი იდგნენ იაპონიის სამხედრო საქმეთა სათავეში, იგინი სწორთნიდნენ ჯარებს და აშკარა იყო, რომ იმათივისეე უნდა ნაგბარებინათ ბრძოლის გაძღოლაც. რუსის მხედრობის უფროსად, მართალია, დანიშნული იყო გენერალი კუროპატკინი, რომელსაც მანამდე სამხედრო მინისტრის პორტფელი ეჭირა, მაგრამ დანარჩენი სარდლები როდი იყვნენ იმითთაგანი, რომელთაც აღზარდეს რუსის ჯარი. ეხლა გენერალმა კუროპატკინმაც ისეთი ორგანიზაცია შემოიღო, როგორიც მარშალმა აქვს. იმანაც სამ არმათ გაჰყო თავისი ხმელეთის ჯარი და სარდლებათ ისეთი კაცები დანიშნა, რომელთაც მიუძღვიან უმთავრესი სამსახური რუსეთის მხედრობის აღზრდა-გაწვრთნაში. პირველ არმის სარდლად გამოიწვია გენერალი ლინევიჩი, ყოველად დამსახურებული და სახელიანი მეომარი; მეორე არმია ჩააბარა არა ნაკლებ დამსახურებულ მეომარს გენერალ გრიპენბერგს; ხოლო მესამე არმიის უფროსად დანიშნა ცნობილი გენერალი კაულბარსი.

ეჭვი არ არისო—ამბობს სამხედრო მიმოხილველი გაზეთ „რუსკ. ვედომსტ“ ებისა ბ-ნი ს. კ.,—ასეთი განწესრიგება უფრო სახეგრხოა, ვიდრე აქამდე იყო, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, ვითომც გამარჯვება იმაზედ იყოს დამოკიდებული, რომ ფორმითა ვგვანდეთ ჩვენს მოწინააღმდეგესო. მართალია, ჯარს ის უნდა უძღოდეს ბრძოლაში წინ, ვინც იგი მშვიდობიანობის დროს მოამზადა ომისთვის და მოვალეა პასუხი აგოს მის მოქმედებისთვის მაგრამ ამ ფორმალურ სიმართლეს ზურგი მაგარი უნდა ჰქონდეს, უნდა ჯარი საკმარი გეყვანდეს, თანაც ცოდნითა და მოხერხებით გამოვიყენოთ იგიო. (რუს. ვედ.).

—

რუსეთის ჯარის გაძლიერება მანჯურიაში. ეხლა რუსეთს მანჯურიაში ჰყავს არა ნაკლებ 450,000 მეომარისა, ორი კორპუსიც ამ თვის გასვლამდე ჩავა და მაშინ გადაამეტებს 500,000 კაცს, რომელსაც ექმნება 1,522 ზარბაზანი. გარდა ამისა, უკანასკნელ დროსაც შეკრიბეს რამდენიმე კორპუსი დასავლეთ გუბერნიებსა და ოდესის სამხედრო ოლქში. ამ კორპუსებს უკვე გამოეთხოვა ხელმწიფე იმპერატორი, დალოცა და გაისტუმრა კიდეც აღმოსავლეთისაკენ. როცა ეს კორპუსები ჩავა მანჯურიაში, გენერალს კუროპატკინს, ფრანგულ გაზეთ „პარიეის ეხო“-ს სიტყვით, ეყოლება არა ნაკლებ 700,000 კაცისა და 1,818 ზარბაზნისა. თუმცა ჯერ არ ვიცითო,—ამბობს სამხედრო მიმოხილველი გაზეთ «რუს. ვედ.»-ისა ბ-ნი ს. კ.,—მარტო მანჯურიისათვის უნდა ეს ამოდენა ჯარი გენერალ კუროპატკინს, თუ კარგა მოზრდილი ნაწილის ვლადივოსტოკისაკენ გაგზავნისო, მაგრამ ის კი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მარშალ ოიამას, რაც გინდა მცირედ ვიანგარიშოთ, ეყოლება არა ნაკლებ 560,000 მეომარისა. ესთქვათ, ამაზედ მომატებული ჯარის კაცს ველარ მოაწვდის იაპონია თავის მთავარ-სარდალს, მაგრამ ეს რიცხვი ისეთი დიდი ძლიერებაა, რომ გენერალ კუროპატკინს კიდევ უნდა მიაშველოს რუსეთმა თუნდ ის ჯარები, რომელიც ბაიკალს აქეთ უყენია, ციმბირის რაიონში. ეს კი უნდა ითქვას, რომ რუსეთს თავის დღეში არ გამოუყენია ერთსა და იმავე ბრძოლის ველზედ ამოდენა ჯარი. რუს-ოსმალეთის უკანასკნელ ომში რუსეთმა გაიყვანა ხუთ 400,000 მეომარი; ჯარების რაოდენობით მანჯურიის ომი არ ჩამოუვარდება არც ერთს დიდებულს ომს, რომელიც კი ახლოს სამხედრო ისტორიას. გერმანიის განთავისუფლების დროს 1813 წელს ბრძოლის ველზედ გამოვიდა ორივე მხრიდან 1.210,000 მეომარი, პრუსიისა და საფრანგეთის ომში 1.165,000 მეომარი, ხოლო ამერიკის შინაური ომში 1865 წელს — 1.300,000 კაცი. თუ მარშალ ოიამასაც იმოდენივე ჯარი გამოუგზავნეს, რამდენიც ეყოლება გენერალ კუროპატკინს, მაშინ მ ნჯურიის ველზედ მეომართა რაოდენობა თითქმის აღემატება 1.400,000 კაცს ორსავე მხრიდან. ძნელად წარმოსადგენია,—ამბობს ბ-ნი ს. კ.,—თუ როგორ უნდა მოატრიალონ ეს უშველებელი ჯარები ერთს სიმარ ველზედ, რომლის სიგრძეც არ აღემატება რამდენსამე ათი ათას ოთხკუთხს ვერსსაო. (რ. ვ.).

შეეცის თავრობის განცხადება. ამას წინად ჩრდილოეთი ზღვაში მომმდარ ინცინდენტის გამო ხმა გავარდა, რომ იაპონიის ფლოტის ერთი ნაწილი (ნაღმიანი გემები) შეეცის ნავთსადგურებში იყო დამალული და იქ უცდიდა, ვიდრე აღმირალ როჟესტვენსკის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაემართებოდამ. ამ უსაფუძვლო ხმების გასაქარწყლებლად უცხოეთის გაზეთებში მოთავსებულია შეეცის თავრობის შემდეგი განცხადება: გასულს ზაფხულს და აგრეედე შემოდგომას არც ერთი იაპონიის გემი არ ყოფილა არც შეეციაში და არც ნოვეგიგაში. არსად არ ყოფილა იმის მაგალითი, რომ იაპონიის თავრობის მხრით რაიმე ღონისძიება ყოფილიყოს ხმარებული შესახებ რომელისამე ჩვენი საბარგო ან სანაღმო გემის დაქირავებისა. დარწმუნებით შეგვიძლიან ესთქვათ, რომ არც ერთგან ჩვენს სახელმწიფოში არ არსებობს იაპონელ ჯაშუშების ორგანიზაციაო. (რ. ვ.).

ახალი ამბავი

—

გურმაშეგის დამტკიცების გამო. თანახმად საქაღალდ დებულების 116 მუხლისა, ტფ. გუბერნატორმა გუშინ, 4 ნოემბერს, მოსთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას დამატებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ცენზი აქვს ქალაქის მოურავად არჩეულს ქრ. ა. ვერეზაგინს და ამ ცენზობი აქვს თუ არა მას ხმის უფლება ქალაქის მოურავის არჩევნების დროისაო.

*** **ფრანგულ ენის უფასო კურსები ბათუმში.** 1-ლ ნოემბერს ბათუმში დაარსდა ფრანგულ ენის უფასო კურსები. კურსების დამაარსებელია ბათუმის გიმნაზიის მასწავლებელი დე სენტ-მარი. შორველსავე დღეს ჩაწერილა 63 მსმენელი, 46 კაცი და 17 ქალი. კურთხევას დაესწრნენ: ბათუმში მყოფი საფრანგეთის კონსული, ბათუმის გიმნაზიის ინსპექტორი და ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი გ. დ. ეურული.

*** **ხარკოვიდგან გაწერენ.** «გამოცხადდა განკარგულება, რომელითაც საექიმო ფაკულტეტზედ, ომის მიზეზით, სახელმწიფო გამოცდანი მომავალ წლის თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყება. ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზედ წელს კურსს ხუთი ქართველი ასრულებს: სევერიანე ჯოღოშვილი, ზაქარია მახარაძე, სოლომონ წერეთელი, ალექსანდრე ნათიშვილი და აარონ ბალაშვილი».

*** **საშინაო საფრთხელე.** ტფილისის გუბერნატორმა აცნობა, ტფ. ქალ. გამგეობას, თუ ვინმე ისურვებს რაიმე საელექტრონო საქმის დაწყებას, უნდა შეასრულოს ის წესი, რომელიც ამ საგნისათვის არის მოსული შინაგან საქმეთა სამინისტროსაგანაო. ელექტრონის ძალიერ დენას შეუძლიან ავნოს ტელეფონისს და ტელეგრაფის მავთულებსაო. როცა ვისმე ამისთანა რამ საქმის დაწყების ნებას აძლევდეთ, ის წესებიც უნდა აცნობოთო, რომელის ასრულებაც სავალდებულოაო.

*** **საგუბერნიო საქ. საქმეთა საკრებულოში.** დღეს, 5 ნოემბერს, კრება ექმნება ტფ. საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს, რომელმაც უნდა განიხილოს ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად ნამყოფის ინ.-ტეხნოლოგის ოჰანეზოვის რწმუნებულის კაბლიცკის საჩივარი ქალაქის საბჭოს დადგენილებაზედ, რომელითაც ოჰანეზოვს უარი უთხრეს ჯამაგირზედ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის ასრულებისათვის. გარდა ამისა, საკრებულო განიხილავს კიდევ შემდეგს საქმეს; ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის საჩივარს, უმართებელესს სენატში მირომიეულს საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილებაზედ, რომელითაც ქალაქის საბჭოს დადგენილება ინეენერ აღსაზიშვილისათვის შემწეობის დანიშვნის შესახებ არ იქნა შეწყნარებული და სხვ.

*** **შანაგან საქმეთა სამინისტროსაგან** ახლად დამტკიცებულის ქედეთან მებრძოლი ტფილისის საზოგადოების წესდება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ დაუგზავნა საზოგადოების დამაარსებელთ. საზოგადოების დამაარსებელთა განხრახულია 14 ნოემბრისათვის, გამგეობის თავმჯდომარისა და წევრების ამოსარჩევად და საზოგადოების მოკმედების დასაწყებად.

*** **სამეურნეო საზოგადოების სხდომა.** დღეს, 6 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სდგომაში დანიშნულია ამ საზოგადოების საბჭოს წევრთა მორიგი კრება სხვა და სხვა მიმდინარე საქმეთა განსახილველად.

*** **ქალაქის მოურავის არჩევნები ბაქოში.** როგორც «ცნ. ფურ.»-ს ბაქოდგან ატყობინებენ, ბაქოს ქალაქის მოურავად საბჭოს აურჩევია ბ-ნი ირეცკი, რომელიც წინადაც ყოფილა ბაქოს ქალაქის მოურავად.

*** **ტფილისის საკომენდანტო** გამგეობამ აცნობა ქალაქის თვით-მმართველობას, რომ ყაზარმებში ადგილი არ არის ჯარში ახლად გაწვეულთა დასაბინავებლადაო და სთხოვა ქალაქს, მოუხერხოს სადგომები ამ ჯარს. ახლად გაწვეულნი, რიცხვით 600 კაცი, ჩაირიცხებიან და გაიგზავნებიან ჯარის სხვა და სხვა ნაწილებში.

*** **გადასახადის პატიება.** ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობამ 20 ათასი მან. აპატია ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ დასაფასებელ გადასახადის ნედლიმკებისა. კომისიას, რომელიც ამ საქმეს გაანგებს, ღარიბ მცხოვრებთაგან მიუღია 7,000 თხოვნა. რადგან საეჭვოა ამოდენა თხოვნის შემოწმება, კომისიამ საქმე ასე გაანაწილა თავის წევრთა შორის: პოლიციის მე-8 და მე-9 ნაწილის მცხოვრებთა (ვინც თხოვნები შეიტანეს) მდგომარეობას შეამოწმებს გრიქურო

; 1, 2 და 10 ნაწილისა—ა. ს. ბაღდასაროვი; 3, 4, 5 და მე-6 ნაწილისა—მ. ი. სვეჩნიკოვი, ხოლო მე-7 ნაწილისა—ნაძალადევსა და ნავთლუღში—ლ. თ. ტიგრანოვი.

*** **თავ. კონსტანტინე ერისთავის საქმე,** რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია შაბათს, 6 ნოემბრისათვის.

*** **ოტია სულაბერიძის საქმე.** პარასკევს 30 ამ თვის ქ. ბათუმში გაიჩარა საქმე სოფ. ჩიბათის (ოზურგ. მაზრის) მცხოვრების მარკოზ ოტიას-ძის სულაბერიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ის, სამის სხვა ამხანაგებითურთ, რომელთა ვინაობაც ვერ შეუტყვიათ, 10 მარტს ამა წლისა, საღამოს, თავს დასხმია ბათუმიდან ექვს ვერსზე დაღესტნის სახელოსნო გუბერნატორად ნამყოფის გენ.-ლეიტ. თ. ბარიათინსკის ავარაკს, მოუთხოვნიათ ფული და რევოლვერი უსერიათ თავ. ბარიათინსკისათვის, მაგრამ ტყვია აუცდენიათ. სულაბერიძე დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ყოველისაგე უფლებაუფლებათაგან ჩამორთმეა და ოთხის წლით მაღნებში მუშაობა.

ქუთაისის ახალი ამბები

—

ყაზარმების მოგვლის საქმე. ხუთშაბათს, 29 ოკტ., ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სოფ. ქვიანის (ოზურგეთის მაზრისა,) მცხოვრებთა: გიორგი დოლიძისა, დიმიტრი ფირცხალაიშვილისა, ანტონ და მათე ნარსიათა და იელიანე წულაძისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მათისავე სოფლის მცხოვრების თედო ყრაშიძის მოკვლა. საქმის გარჩევას შეუდგენენ ნაშუადღევის პირველ საათზედ. დაბარებული [illegible] ექვსი გამამტყუნებელი მოწმე [illegible] ბრალმდებლის მხრიდან, და ოცდა ოთხი [illegible] მოწმე, დამცველისა. [illegible] გამოცხადნენ. როგორც საბრალდებლო [illegible] ექვიდგანა სჩანს, 9 მაისს ამა წლისა, [illegible] ქამზე. სპირიდონ ყარაშიძეს გაუგონია თოფის ხმა და უნახავს რვა შეიარაღებული კაცი. შემდეგ უნახავს სასიკვდილოდ დაჭრილი თედორე ყარაშიძე. თედორე ყარაშიძეს სიკვდილის წინად ჩაუწერინებია სპირიდონისათვის ზემოდ ხსენებული ხუთი კაცი, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ მისი მკვლელები. გამოძიების დროს გამოიარკვა, რომ თედორე ყარაშიძეს მთელი სიფელი ჯაშუშადა სთვლიდა და ამიტომ ყველასაც სძულდა. ამას გარდა, ბოქაულ ქელბაქიანს უთქვამს გამოძიების დროს, და სასამართლოშიაც იგივე განიმეორა, რომ თედორე ყარაშიძე არ იყო საზოგადოდ პოლიციის აგენტი პოლიტიკურ საქმეების შესახებ, მაგრამ იგი მოწმედ იყო 6 აგვისტოს 1902 წ. მთავრობის წინაღმდეგ გამართულის ყრილობისა და მათე ყარაშიძის-მიერ ამ ყრილობაში მონაწილეობის მიღებისა, რისთვისაც ეს უკანასკნელი მაშინ დაჭერილ იქმნა და დღესაც ციხეშიაო. სპირიდონ ყარაშიძემ, რომელიც უმთავრესი მამტყუნებელი იყო ბრალდებულთა, განაცხადა,—მე ვერ ვიცანი ვერც ერთი მკვლელთაგანი და ჩაწერა სია ეს კაცები მოკლულის სტუკეთ; თედორე გრძნობაზე არ იყო, როცა მაწერინებდა, და მე რომ მისთვის დამეჯერებინა, ორასის კაცის ჩაწერა უნდოდნა. ზოგიერთმა მოწმეებმა აჩვენა,—თედორე ყარაშიძემ სთქვა, რომ ამ კაცებმა (ე. ი. დასახელებულებმა). უნდა ი

გეჭირვებოდათ ერთ დღესა-მეთქი?..—შეეკითხე. მან გაიღიმა და მიპასუხა: «დამავიწყდაო»!!. დამავიწყდა! სასაცილოა ეს დავიწყება, რომ მასთან სამწუხაროც არ იყოს! ვაი, რომ ყველაფერი გვავიწყდება, დაგვიწყდება, რომ ვალს გადახდა უნდა!!.

ილია ბახტაძე.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისი თითქო საომრად ემზადება. არა თუ ფლოტი დააყენა საომარ ფეხზედ, ჯარებსაც ამზადებს. ინდოეთში ხომ ლორდი კიტჩენერი დიდს ფაცა-ფაცაშია. თუ აქამდე ჯარები ისე იყო განაწილებული, რომ დაეთრგუნა აჯანყება ინდოელებისა, თუ ვინაცობაა თავს იჩენდა საღმე ამბოხი, ახლა ისე ანაწილებს ბურების შემმუსვრელი ვატკაცი ჯარებს, რომ ეიმოს ძლიერს მტერს, ჩრდილოეთიდან მისეულს ჰენჯაბში. ინდოეთის ჯარების საომარ ფეხზედ დასაყენებლად და ყოველ სხვა საამბოხისათვის გადადებულია 100 მილიონი მანათი, რომელიც ხუთის წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს.

—

საფრანგეთი. დიდი სკანდალი მოახდა დეპუტატთა პალატაში. მთავრობის მოწინააღმდეგეთ გამოჰქექეს რაღაც საქმეები სამხედრო სამინისტროსი, ვითომ ჯარში ჯაშუშობა და ფამება ყოფილიყოს გამეფებული და სხვა ამისთანები. მართალია, ორი თანაშემწე სამხედრო მინისტრის ანდრესი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, მაგრამ ამან არ დაამშვიდა ოპოზიციის მომხრენი, ეგენი «ვიცნი არიან განტევებისანი», ებრაელებისა არ იყოს. ჩვენ გვინდა თვით მინისტრმა აიკრას გუდა-ნაბადი და დაანებოს თავი სამსახურსაო. ბევრი ეცადა სამინისტროსათვის რესი, შესანშნავი მეთაური სოციალისტებისა და, თუმცა მთლად სამინისტრო კომბინაცი დაიხსნა განსაცდელისაგან, მაგრამ ანდრეს კი ნაკლებად უშველა. ანდრე შეიქმნა მსხვერპლი თავ-დაცემისა. ნაციონალისტმა სივეტონმა ისეთი სილა უთავაზა, რომ ცბა გაუხეთქა სამხედრო მინისტრს და სისხლში თქრიალით იწყო დენა. თუ სკანდალამდე სამინისტროს ათის ხმით გაიმარჯვა, ამ სკანდალის შემდეგ მათთა მომხრეთა რიცხვმა იმატა და ავიდა 87-მდე. ამბობენ, მაინც კომბინის სამინისტროს განსაცდელი მოელის და დიდის მხნეობით დაწყებული საქმე საფრანგეთის ცხოვრების განახლებისა, შესაძლოა, შეჩერდესო. დეპუშამ უკვე გვაცნობა, რომ, მთლად სამინისტროს მაგიერ, მხოლოდ ანდრე გადადგა სამსახურიდან.

—

იტალია. იტალიაში არჩევნებმა მშვიდობით ჩაიარა, თითო-ოროლა შემთხვევის გარდა. გაიმარჯვეს უფრო მთავრობის მომხრეებმა. სოციალისტები და რადიკალები ბევრგან დამარცხდნენ, მაგრამ იმედი აქვთ ხელმეორედ არჩევნებისა. ორი კლერიკალიც კი იქმნა არჩეული დეპუტატად. ამ ორს უნდათ საფუძველი დაუდონ კათოლიკეთა მომხრე დასს პარლამენტში. მთავრობას დიდი უმეტესობა ეყოლება განახლებულს პალატაში.

—

შვეიცია-ნორვეგია. შვეიცია-ნორვეგიის კავშირს 90 წელიწადი შეუსრულდა. ამოდენა ხანი ეს ორი ქვეყანა ერთად სცხოვრობდა და უმთავრესი მმართველობა საერთო ჰქონდათ. დაჩაგვრა ერთმანეთისა არ მოუნდომებიათ, ხოლო თუ მცირეოდენი რამ უხერხულობა იყო ხოლმე, ორიანენი იომენდნენ. ახლა კი, ცოტა არ იყოს, უსიამოვნებამ იმატა, კონსულების ცალკ-ცალკე ყოლის სურვილმა გაამძლიერა ეს უსიამოვნება. შვეცია ეუბნება ნორვეგიას, თუ გინდა, სულ ცალკე გადი, სრული დამოუკიდებელი იყავი, არა და—ჩვენთან იყავ კავშირში და სრულს დამოუკიდებლობას ნუღარ მოითხოვო. ახლო მომავალი გვიჩვენებს, როგორ გადასწყდება ბედი ამ ორ შეერთებულ სახელმწიფოსი.

—

ამერიკის ჩრდილო-შეერთებული შტატები. რუზველტმა გაიმარჯვა. იგი იქმნა არჩეული პრეზიდენტად. 15 მილიონმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში. რუზველტმა უფრო იმიტომ გაიმარჯვა, რომ მისი მმართველება და პროგრამა კარგადაა გარკვეული. რუზველტი იმპერიალისტია და მომხრე ჯარისა და ფლოტის გაძლიერებისა. სწამს მონროეს მოძღვრება, ამერიკა «ამერიკელებისათვისაო» და ამ მოძღვრების განხორციელებისთვის სცდილობს ძალაც ჰქონდეს შესაბამი ქვეყანას, ესე იგი საკმაო ჯარი და ფლოტი ჰყავდეს. რუზველტს უმადლიან აგრეთვე, პანამის არხის საქმე რომ დაამთავრა შესანიშნავის სიადვილითა და სიმართლით. თავის ქვეყნის საქმეც გააკეთა და პანამატაბარა რესპუბლიკად გადააქცია. ამერიკა ჰგრძნობს, რა ღონიერია და ძლიერი მისი ერი ნიუიორედ, შეძლებით და გაანათლებით. ამისთანა ერი ვერ მოითმენს, რომ ველ-გრილად უცქიროს სხვა ქვეყნების საქმეს, არ შეიძინოს ახალ შენები და სხვ. რუზველტი მიუხედა ამას თავის ერს და ჯარისა და ფლოტის გაძლიერების მობრძედ გამოაცხადა თავი. პარკერი, კანდიდატი დემოკრატებისა, დამარცხდა.

თეატრი და ხელოვნება

მეოთხე ქართული წარმოდგენა. გუშინწინ, 3 ნოემბერს. სახაზინო თეატრში წარმოდგენილ იქმნა თავ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა-ლეგენდა «ლალატი»; ეს პიესა ყველაზედ უკეთ იქმნა წარმოდგენილი, რაც კი აქამდე წარმოუდგენიათ. განსაკუთრებით საუცხოვნი იყვნენ ქ ნნი ნინო ჩხეიძე და ოლ. ლეკვა, პირველი ზეინაბისა და მეორე—გაიანეს როლში, თუმცა ეს უკანასკნელი სრულიად მოუმზადებლად გამოვიდა სცენაზედ. ქ-ნ ჩხეიძისთანა ზეინაბი ჯერ არა ყოფილა; ყველაზედ უკეთ ქ-ნ ნ. ჩხეიძეს შეუძენია ეს ძნელი და პასუხ-საგები როლი. კარგები იყვნენ აგრედვე ბ-ნნი: ვ. გუნია ოთარბეგის როლში, ვ. აბაშიძე—ბესოს როლში, დ. ჩარკვიანი—ერეკლესაში, სვიმონიძე—დათოსაში, კ. ციფანი — ანანიას გლახას როლში, ი. ივანიძე—საბა სალოსისაში და ქ-ნი კარგარეთელი—რუქიას როლში. ერთის სიტყვით, ყველნი ხელს უწყობდნენ საერთო ანსამბლს. წარმოდგენას ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო.

—

ქართული წარმოდგენა ქუთაისში. კვირას, 31 ოკტომბერს, ქუთაისის ქართულმა დრამატიულმა დასმა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენა პირველად ახალი პიესა «როზა ბერნდტი», 5 მოქმედებიანი დრამა ჰაუპმანისა, თარგმნილი ვლ. ალექსი-მესხიშვილის-მიერ.

პიესის შინაარსი სულ უბრალოა, ყველგან და ყველასგან ცნობილი—ახალგაზრდა ქალის შეცდენა და ამის გამო ქალის სიცოცხლის მოშხამვა-გაწყვრა. მაგრამ ეს პიესა იმდენად ხელოვნურადაა დაწერილი, რომ უნებლიედ გიბიძგებსო. ამას რომ ერთის მხრივ ბ-ნ მესხიშვილის-მიერ ახალ დეკორაციებით სცენის შემკობა მივუმატოთ და მეორეს მხრივ პიესის უმთავრესის გმირის—როზა ბერნდტის (ქ. დავითაშვილი) როლის აღმასრულებელის გრძნობიერი და შეგნებული თამაშა,—არა ვვარეგნებ, რომ მნახველის არ მოეწონოს და ნასიამოვნები შინ არ დაბრუნდეს. სწორედ ამ გვარის შთამეცდილებით გამოვედი თეატრიდგან. მართლა და, ვის არ დაფიქრებს, ვის არ აუწყლის მწარე ფიქრებს რამდენსამე საათის განმავლობაში ადამიანის ცხოვრების სისაძაგლისა, მის გულ-ქვაობისა და შეუბრალებლობის განხორციელებულ ტიპის ყურებაა! ამ საღამოს სწორედ ასეთი გრძნობები აღგვიძრა ქ-ნ დავითაშვილის თამაშმა. არტისტის თამაში ბხოლოდ მაშინ არის დასაფასებელი, როცა ის თავის ხელოვნურ თამაშით იმასვე გვაგრძნობინებს, რაც ავტორის გულს ჟგერძნია და მისს სულს გამოუცდია ამა თუ იმ ტიპის შექმნის დროს...

აი, ამგვარს თამაშს ეთქმის კარგი თამაში და ეს ფირსება კიდევაც დიმბახურა ამ საღამოს პატიცემულმა დავითაშვილის ქალმა. მისმა გონიერმა, მოხდენილმა და გრძნობით სავსე თამაშმა ისე გაგვიტაცა და შებრალების გრძნობები აგვიშალა, რომ თვალთა წამწამი ცრემლითა ნაკადულითი აღმევსო და ლამის ღაწვებზედაც ნაკადულადვე წამოვიდა! ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დრამატიულ როლებში დავითაშვილის ქალი ქ-ნ ნ. ჩხეიძის ისეთს თავის დროზე ბევრით არ ჩამოუვარდება. სხვებზე ის-ღა მეთქვის, რომ ყველანი კარგ ქეიფზედ იყვნენ, ისე გრძნობიერად და მწყობრად თამაშობდნენ, რომ გეგონებოდათ, ერთმანეთს ეჯიბრებიანო. განსაკუთრებით მოსაწონი იყო ახალგაზდა მსახიობი ბ-ნი ნ. გვარაძე აკაკუტ აკილის როლში.

ავგუსტ კელი იმ აზრითა და რწმენით გამსჭვალული ადამიანია, რომელიც პატიოსნებას, მოყვასის სიყვარულსა და ცოდვების მიტევებას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე პირადულ შეურაცხყოფას, ანუ რაიმე ტანჯვის ატანას. ის თავის პატიოსნურ მოქმედებითა და ღვთისადმი ღრმა რწმენით დიდ თანაგრძნობას იწვევს საზოგადოებაში და ეს გრძნობა ბ-ნმა გვარაძემ შესაფერის გამომეტყველებით ძლიერ კარგად გადმოგვცა.

საზოგადოდ ბ-ნის ვლ. ალექსი-მესხიშვილის წარკვანილი დასი და მისი ერთგული მუშაობა თავდებია იმისი, რომ ეს სეზონი ნაყოფიერი იქნება და ძლიერაც განსხვავდება შარშანდელ ოცნებურ სეზონისაგან.

მარტო ის რათა ჰკირს, რომ ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი თავის დასის გონებით განვითარების ზრუნვასაც გაუტაცენია და კვირაში ორჯერ მისი ახალგაზდა. მსახიობნი ცოცხალი ენით წარმოთქმულ ლექციებს ისმენენ.

მსახიობისთვის ძლიერ საჭიროა, პიესის შინაარსის შესაგებელად და მის გმირების სულიერ მდგომარეობის სინამდვილით გადმოსაცემად, გონებითი განვითარება და ენის ცოდნა. როდესაც მსახიობმა ენა იცის, მისი გონებითი სალარო სიტყვებითა და ფრაზებით მდიდარია, მაშინ მას არასაოდეს არ გაუუპირდება ერთის სიტყვის მაგიერ მეორე იხმაროს, ან ის აზრი, რომელიც ავტორს გამოუთქვამს, საჭიროების დროს, თუ ავტორის სიტყვები გადაავიწყდება, თავის სიტყვებით წარმოსთქვას და როლი მაინც არ გაფუჭოს.

ვურჩევ ჩვენ მსახიობი ქართულის წიგნების კითხვასა და საფუძვლიანად ენის შესწავლას. რაც შეეხება პიესის თარგმანს, უნდა გამოტეხილი ესთქვათ, რომ სუსტი თარგმანია და, რაც უნდა იყოს, მაინც შენნაშენის ღირსია.

ხშირად მესმოდა, მაგალითად, ასეთი ფრაზები: ერთს ადგილას არტურ შტრეკმანი (დ. აწყურელი) ეუბნება როზა ბერნდტასა: «რად მიყურებ ასე მე»! აქ ნაცვალი სახელი «მე» სრულებით მეტია. «მამა თან და თან მოხუცდა». (დავითაშვილის ქალი). მოხუცდა—წარსული დროა, თანდათან კი ჰნიშნავს, რომ მოქმედება ისევ გრძელდება. უნდა იყოს: «თან და თან ბერდებაა». «ამით ჯვარი გულიდგან ლოდივით მომეშვა» (გამყრელიძე). არც ეს ფრაზაა სწორე. ამბობენ, ლოდივით მაწევსო და არა მომეშვაო. „არ მეშინის იმაზე გათხოვება“ (დავითაშვილი), ეს ხომ სულ რუსული კონსტრუქციაა. ქართულად უნდა ითქვას ასე: «არ მეშინია მისი ცოლობა, ანუ „იმას რომ ცოლად გავყვე“. „ჯიუტობას მააშლევინებს“ (გამყრელიძე); ეს კი ნამდვილი პროვინციალიზმია და არა ლიტერატურული სიტყვა. ამ სიტყვის ძირია «მოშლა», აქედგან—მოაშლევინინა და არა მააშლევინა, და სხვანი.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და ძლიერ ნასიამოვნებიც დარჩა...

თარხანი.

—

„ᲘᲕᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ“

სასალინელს. თქვენი ლექსი „საკუთარ ეზოკარს“ არ დაიბეჭდება. თქვენი წერილიც არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საკანტორისაგან).

დილის დეპეშები.

3 ნოემბერი.

მუკდენი. (საკ. კორესპ.) პოზიციებზე უწინდებურად სიჩუმეა. ხმა დადის, რომ იაპონელნი ემზადებიან 6 ნოემბრისათვის სატეططვად და ჩვენის გულის ჯარის გასარღვევად.

ნიუ-იორკი. (რეიტერი) იაპონის სეხსის საქმე ნიუ-იორკში კორგად წავიდა.

ლონდონი. (რეიტერი). გამოძიება გულში კვლავ სწარმოებს. ნაკოთს მეთევზეებს არაფერი არ მოუმატებიათ იმ ფაქტებისათვის, რაც უკვე იყო. კომისია არ შეხებია დასაჩუქრებას, რადგანაც ამას, უექველია, საკუთარი კამისია გაარჩევს.

ვაშინგტონი. (რეიტრი). პრინც ფუშიმამ ნახა რუზველტი და გადასცა მიკადოს მილოცვა პრეზიდენტად მეორედ არჩევისა. პრეზიდენტმა უპასუხა, ამერიკის ერი მონაწილეა იაპონის გრძნობებისა, რომლისთვისაც სურს სრული წარმატება.

ხარკოვი, 2 ნოემბერი. საღამოთი რამდენიმე ასი კაცი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, დაჰქონდა ხელმწიფე იმპერატორის სურათი და მღეროდა: «ცხოვნე, უფალო, ერი შენი» და ხალხურს ჰიმნსა. ეს პატრიოტული მანიფესტაცია ისინ გამოიწვია, რომ წინა ღამეს განიზრახეს მშვიდობიანობის შერყევა ზოგიერთის ალაგას, რომელიც ცხენოსანმა და ქვეითმა პოლიციამ სჩქარიდან შეაყენა.

ვაშინგტონი. 2 ნოემბერს რუზველტმა დარბაზობა გადაუხადა პრინც ფუშიმამ ნახა რუზველტი და გადასცა მიკადოს მილოცვა პრეზიდენტად მეორედ არჩევისა. პრეზიდენტმა უპასუხა, ამერიკის ერი მონაწილეა იაპონის გრძნობებისა, რომლისთვისაც სურს სრული წარმატება.

ხარკოვი, 2 ნოემბერი. საღამოთი რამდენიმე ასი კაცი ქუჩა-ქუჩა დადიოდა, დაჰქონდა ხელმწიფე იმპერატორის სურათი და მღეროდა: «ცხოვნე, უფალო, ერი შენი» და ხალხურს ჰიმნსა. ეს პატრიოტული მანიფესტაცია ისინ გამოიწვია, რომ წინა ღამეს განიზრახეს მშვიდობიანობის შერყევა ზოგიერთის ალაგას, რომელიც ცხენოსანმა და ქვეითმა პოლიციამ სჩქარიდან შეაყენა.

ვაშინგტონი. 2 ნოემბერს რუზველტმა დარბაზობა გადაუხადა პრინც ფუ-

---

აქ გენოს დაჰკარგვია ყოველივე და დაცემული მონობამდე, რადგან არა აქვს საკუთარი თავშესაფარი, არ მოებოვება დაობებული პურიც კი, აწევს კისრათ მძიმე ტვირთი და ყველაფერი საყიდელი აქვს. ამ დროს კი თითონ უფულო, ღატაკი და უპატრონოა. ბაღ, რა ჰქნას ამ გვარმა კაცმა! რით ირჩინოს თავი და გამოჰკვებოს ცოლ-შვილი?! ხომ არ იქურდებს! ო, დარჩენია მეტი! ისევ უნდა დაიმეცოროს თავი, უნდა მოიკაკვოს და შეეფეროს ბალიოზებს, რომ მისცენ რაიმე მცირე სამსახური. და სწორეთ ასე იქცევი გენო. ის შედის ერთ გამგეობაში და კითხულობს უფროსს. დიდის ლოდინის შემდეგ გაუღებენ კარს. ის შედის კანკალით.

— «ვინა ხარ? რა ენებავთ?» ეკითხება უფროსი.

— მე... ბატონო... გთხოვთ, რომ იქნეს რაიმე ადგილი მბოძოთ... მე...

— სად გისწავლია?

— სასწავლო სასწავლებელში.

— რა ენდოლის ხარ?

— მართლმადიდებლის ეკლესიის წესით ვახლავარო მონათლული.

— რა ტომისა ხარ?

— ქართველი...

— ჰმ... ჩაბოარდა სიჩუმე.

— ნაცნობი ბევრს ვინმე?

— არა, ბატონო, მაგრამ კარწმუნებთ, რომ ჩემი ნაცნობი, ჩემი პროტექტორი ჩემი შრომა იქნება... ძალიან წამოიკვლევ ენგნმ.

— ძალიან კარგი, მაგრამ ქეჩიდან ხომ არ ავიყვანთ ხალხს! უნდა ვიცოდეთ თუ არა, ვის ვიდევთ სამსახურშიაზ?

— მე, ბატონო, მოწმობა მაქვს.

— მარტო მოწმობა არ ეშველა. კაცი ეოველ მხრიდან კეთილ სიიმედო უნდა იყოს!—დიდ მნიშვნელობით დაუბოდაგა უფროსმა და ისევ ქაღალდებს მიუბრუნდა.

ბენო მახედა, რომ ადგილს ვერ იშოვიდა და ეიშვიდა.

უფროსმა შეატეო ბენოს ამდგრეკა და, ტოტა არ იფოს, რბილის ხმით მაჭმაოთ:

— სამწუხაროთ, ეშმწეკდი კაცო, ამ ჯამად ადგილი არა მაქვს, ერთის კვირის შემდეგ შემოიარეთ, იქნება მანამდის...

— დიდი მადლობელი ვარ... ამ ერთ კვირაში თუ მშეარი არ მოგვედი, იქით კვირაა ადარტ-კი შეკეწუბეთ...—ბესლინთა კაუეეტანს დაპრაკეა ბენოს და ბეკელ-ნაკბენეთ ეკან გამობრუნდა. ამ ბეკარი ეარი ბარეკელი არ იეო მისთვის.

— ეჰ, შავ წეკალსაც ეუზიდნავარ, თუ კი დეეკმა-ბერის ძებნაში ეენკა ამობძერეს ხელ!—წამოძახეს მწარედ ბენო და მინანეკენ ბეკეეურეს.

რა ჭმდეს ამ დრას ბენოს სახლში? იქ ავიბინეკდ ელის ბენოს მშეარი ტოდ-შვიდი.

— დედა, დედიდო! ჰმ... ჰმ... ბერი ბენოს, ბენოკეეე

შიმას, რომელიც საღამოთი სადილად იყო მოწვეული თეთრს სასახლეში. სადილზე დაესწრნენ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის ელჩები, იაპონიის მისსიის მოხელენი და კაბინეთის წევრნი.

ჩიფუ (რეიტერი). სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონტრ-ნაღმსანი «რასტოროპნი» მხოლოდ გაჭირვების დროს აიყრის იარაღსა. იმას იმედი აქვს გაეცალოს იაპონელებს ღამით. «რასტოროპნიმ» რამდენიმე ნომერი მიიტანა «ნოვი კრაისა»; ეროს ნომერში ნათქვამია, იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი, რომელიც ნაღმებს აწყობდა, «რეტვიზანმა» დაჰღუპაო.

4 ნოემბერი.

ჩიფუ, 3 ნოემბერი (რეიტერი). კონტრ-ნაღმოსნის «რასტოროპნის» კაპიტანმა შეატყობინა პრინც ციმას, რომ «რასტოროპნი» იარაღს აიყრისო. ამ გადაწყვეტილებას დაადგნენ, როცა პეტერბურგიდან მოუვიდათ ბასური.

სუეცი. (რეიტერი). გუბერნატორმა შეჰკრიბა უცხოელი კონსულები და სთხოვა, აუწყონ გემის საზოგადოებათა, რომ ბალტიის ესკადრის გავლის დროს ყველა გემებს, რომელნიც კი ჩრდილოეთად მიდიან, გააჩერებენ, რომ ესკადრას გასავლელად თავისუფალი გზა ჰქონდეს. ესკადრის გასვლის დროს აკრძალულია რისამე გადაყრა ბორში, დემონსტრაციების ნებაც არა აქვთ.

მარსელი. საფოსტო გემმა «სალაზამ» შორეულ აღმოსავლეთიდან მოიყვანა «ვარიაგის» 8 რუსის მეზღვაური. ისინი იყვნენ კოგეს საავადმყოფოში, სადაც კარგად ეკეთოდნენ. «სალაზით» მოვიდა აგრეთვე ლეიტენანტი რუსისა ტირტოვი. ამავე გემმა კობედან სინგიპაურს 37 იაპონელი მეზღვაური და 3 სამი აფიცერი მიიყვანა.

საღამოს დეპეშები.

4 ნოემბერი.

ჩიფუ, 3 ნოემბერი, (რეიტ.) რუსნი გადმოვიდნენ «რასტოროპნიდან» ნასადილევს. ზედ მხოლოდ ერთი კაცი დასტოვეს. ამ კაცმა მოუკიდა პატრონს ცეცხლი ფინთიხს და ააფეთქა გემი. ბანისმა სამი ყრუ ხმა აფეთქებისა. 100 მეტრზე ძლივს გაიგონებდა კაცი ამ ხმას. გემი ჩაიძირა და მხოლოდ ან ძალაუს სჩანს მისი. ძნელია გარკვევა იმისი, თუ რამ აიძულა რუსნი ასე მოქცეულიყვნენ, ხოლო ჰგონებენ კი, რომ რუსებმა გადასწყვიტეს ვეცადოთ «რასტოროპნისაკენ ის ბედი არ არ ეწოოს, რაც «რეშიტელნს» ეწოოა. იაპონელთა ორის კონტრ-ნაღმოსანის აქ მოსვლამ დღეს საღამოს, ეტვი არ არის, დააჩქარებინა რუსებს «რასტოროპნის» აფეთქება. იაპონელთა კონსულის სიტყვით, რომელსაც პროტესტი გამოუცხადა რუსეთის კონსულს, 9 რუსთა მეზღვაური გადავიდა ხმელეთზედ თოფეებითა. იაპონელთა კონსულმა სთქვა, რომ რუსებმა ტყეულად გასწორეს «რასტოროპნი», რადგანაც «რეშიტელნს» ბედი არ ეწეოდა ამ გემსაო. რუსეთის კონსულმა ოფიციალურად გამოუცხადა დაოტპის, რომ «რასტოროპნი»-ს თავი უნდი შეეფარებინა აქ, რადგანაც ცუდი ამინდი დაუდგა გზაშიო. კონსულმა დასძინა, გემს გაუფუქდა მანქანები და ამიტომ გადასწყვდა აჭერადა იარაღი. დაოტპიმ აუწყა ოფიციალურად იაპონიის კონსულს, რომ «რასტოროპნი» უკვე იარად აყრილია: ზარბაზნების საკეტნი და ყუმბარები წამოდებულია, მანქანები—გაფუქებული.—«რეიტერის საგენტოს» კორესპონდენტს გაუგია სარწმუნო სათავიდან, რომ დაბეჭდილ პაკეტით ასეთი ბრძანება ჰქონია «რასტოროპნის» თუ გემმა ვერ მოახერხოს გაუსვლელს მტერს, იგი უნდა აფეთქებულ იქმნას. ამ აზრით, ნაღმოსანს თოფიც წამოდი ჰქონდა თან გატანებული, რომელიც ისეთს ადგილ ინახებოდა გემში, საცა წყალი ვერ საიდან ვერ შეატანდა.

«ნოვი კრაი» 29 ოკტომბრისა შეიცავს დაწვრილებით ამბავს, თუ მიჩმანმა დიმიტრიევმა როგორ შემუსრა ნაღმოსანი. იაპონელთ პატარა ნაღმოსანი და ერთი ნაღმოსანის უკუ მქცეველი 21 ოკტომბერს იღებდნენ უმთავრესად, იაპონელთ ნაღმებსა კურეზი. დიმიტრიევს ფიქრად მოუვიდა ერთი იაპონელთ გემის აფეთქება და ისარგებლა თუ არა ღამე, წაიკვანა ცეცხლის კატერი «რეტვიზანისა» და იაწლა რა 12 კაცი ეკიპაჟისა ნაღმების სატყორცნი იარაღით დიმიტრიევი ბორტიდან გავიდა შელამბინასს, ისე მარჯვედ, რომ მტრის პროჟექტორებს გაუსწლტა. შემოაკარა კატერმა და სისწრაფით გასწია, ხოლო მიუახლოვდა თუ არა საკმაო მოკლე მანძილზე იაპონელთ ნაღმოსანს უკუ მქცეველს, ესროლა ნაღმი, რომელიც მიზანში მოხვდა. ურუდ გისმა აფეთქების ხმა და იაპონელთა გემი წყალმა დასძირა. კატერი დაუფოვნებლივ დაბრუნდა ბორტში, ისე რომ იაპონელებმა ვერა დააკლეს, რაიც თვალი ვერ მოჰკრეს და ეგონათ, რომ ნაღმოსანის უკუმქცეველი ნაღმს წაუწყდა დიმიტრიევის გმირობა ყველას სალაპარაკო გახდა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბოძა გენერალ-ადიუტანტს კურაპატკინს სემარეჩენსკის ყაზახთა ჯარის სპპატიო მოხუცის წოდება.

ლიბავა, 3 ნოემბერი. ბალტიის ესკადრის დამატებითი რაზმი გავიდა ზღვაში. ამ რაზმში ცამეტი გემია, მათშორის ხუთია კრეისერი: «ოლეგი», «იზუმრუდი», „რიონი“, «დნეპრი» და «თერგი» და 8 ნაღმოსანი.

დაკარი, 3 ნოემბ. რუსთა ესკადრა საღამოს 6 საათზედ წავიდა.

ჩიფუ. (რეიტერი). «რასტოროპნის« დეპეშები არ მოუტანია, მაგრამ კაპიტანმა ხელმწიფეს ამბავი გაუგზავნა, რომ იაპონელთა იერიშები ყველგან უკუ ვაქცეეთ და არც ერთი მთავარი ფორტი არ უუდიათო.

ჩიფუ. (რეიტერი). იაპონელთა სამი ნაღმოსანი გავიდა რეიდზედ და, დარწმუნდა-რა, რომ «რასტოროპნი» დაიღუპაო, წავიდა.

ჩიფუ. (რეიტერი). ლეიტენანტმა ბერგმა, ნაღმოსან «რასტოროპნის» ინჟენერმა, განაცხადა,—იაპონელნი ვერასადეს ვერ აიღებენ პორტ-არტურს, სადაც ეროის წლის სამოცდი სურსათ-სანოვაგე აქვთო.

შანჰაი. (რეიტერი). რუსის მოხელენი აცხადებენ, ნამდვილი ცნობები მივიღეთ, რომ გენერალ სტესსელის მოსაკლავად შეთქმულობაა. რვა თვე-განწირული იაპონელი ნავთი წავიდა პორტ-არტურს, მაგრამ სტესსელი გაფრთხილებული იყო და ყოველივე დანაშაულება მიიღო, რომ მომზადებულიყო ღირსეულ სტუმართა დასახვედრად.

შანჰაი. (რეიტერი). ვლადივოსტოკიდან დაბრუნებულ გემზედ მყოფნი ამტკიცებენ, რომ «გრომობოი“ დაზიანდა უკანასკნელად ნავთსადგურიდგან გასვლის დროსაო.

შანჰაი. (რეიტერი) მდინარე შახე გაიყინა. იაპონელნი ჯინულზედ გადავიდნენ. ჰფიქრობენ, რომ გადამწყვეტი შებრძოლება ახლო მომავალში მოჰხდებაო.

დროებით რედაქტორი **ᲑᲠ. ᲥᲘᲤᲨᲘᲫᲔ.**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲑᲐᲛᲝᲬᲚᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ:

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ

29 ოკტომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,35
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅞ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამფლო ბანკისა	89¼ ნ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	415¾ ნ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	318 წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	265¾ წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაციები ივანეს საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. ივანეს ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. ივანეს ბანკისა	—

ᲡᲘᲐ

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომელებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ დარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

ალადაშვილი. აღექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალური კანტორაში.

გედალინი, აღექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამეურნალოში), საღამოთი 5 საათ. —7 საათ. სახლში, ბარიანის ქუჩა, ავეიჯეულის რიგი. სახლი თამამშვილის № 16.

ᲒᲔᲘᲪᲔᲚᲘ, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

ᲯᲐᲜᲘᲑᲔᲙᲝᲕᲘ, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

ᲔᲚᲩᲘᲕᲘ, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

ᲖᲐᲚᲔᲡᲝᲕᲘ, იოსეს მათეს ძე. დილის 10 ს.—11½ ს. (ეუკეის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

ᲙᲐᲚᲔᲛᲘᲜᲘ, ნიკოლოზის გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს ეუკეის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

აღექსანდრეს ქუჩა № 36.

ᲛᲘᲩᲔᲚᲐᲕᲘ, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲮᲕᲘ, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

აღექსანდროვის ქუჩა № 6.

ᲗᲐᲗᲐᲕᲘᲨᲘᲚᲘᲐᲜᲘ, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარვეზის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაბაოვისა № 11

ᲮᲐᲢᲘᲡᲝᲕᲘ, ნიკოლოზის დავითის ძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავადმყოფის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

ᲨᲐᲰᲜᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გინჩარინი ქუჩა, № 30 (ჩუდოვრეთში).

ᲨᲘᲠᲘᲜᲘᲜᲘ, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დედუბის განყოფილებაში), საღამოთი 5—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲛᲝᲚᲘᲗᲝᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

„ᲝᲠᲓᲝᲑᲠᲘᲜᲘ“ მ. Გ. ᲚᲔᲒᲔᲓᲔᲕᲘᲡ

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფეხსვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საოფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0 - 5—16)

„ᲪᲝᲓᲜᲐ“-Ს

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრესტოლის ქალდღეზედ.	60 კ.
რაჯა სოსიკო მერკვილაძისა.	20 ,,
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 ,,
რაშია ბედნიერება? იასე რაქველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან.	10 ,,
სიმღერა აკაკისა—სურათით.	15 ,,
ზმიდა გიორგის რაზმი აკაკისა	5 ,,
გრიგოლ ორბელიანის ლექსები.	20 ,,
კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა	50 ,,
ლექსიკონი რუსულ-ქართული	50 ,,
ლექსიკონი სპა ორბელიანისა.	3 მან. ,,
ლექსი—ონი სახოკიანი რუსულ-ქართულად.	20 ,,
სამეგრელოს საერო სკოლები ფ. ლოლუასი	5 ,,
ბაში-აჩუკი აკაკისა	30 ,,
ვაჭრული ჭკუა აკაკისა	5 ,,
პატარა ჩონგური (დედა ენა)	5 ,,
დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტ.	5 ,,
ოქროვა (ბალხური ზღაპარი)	5 ,,
სამი ზღაპარი	10 ,,
აბრაამის და იოანის ლექსი	3 ,,
თამარ მეფე სურათით	5 ,,
თბზულება ია ეკალაძისა	1 მან. ,,
ქვათა ღიდელი ი. ჭავჭავაძისა	—30 ,,
ოვიდე რუსულად თარგმანი	—50 ,,
დამკვირდი, ბრძენთა აზრები	—50 ,,
მამიდა ანმათი გ. წერეთლისა	—20 ,,
ჩემი თავ გადასვალი აკაკისა	1— ,,
სიტყვიერების თეორია ვ. კ.	1— ,,
გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 ,,
დამონებულნი ნათ. თ. სახოკიანი	1— ,,
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ.	9— ,,
ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით	3— ,,
ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ.	—60 ,,
ანტონ ჭოთალიკოზ. ქართ. ლრამატიკა	1—50 ,,
ვახუშტის გეოგრაფია	2— ,,
ისტორ.საბუთები შიო მღვიმის მონასტრ	—50 ,,
ვეფხვის ტყაოსანი ფ. კ. გამოცემული.	—60 ,,
მზა მეტყველება ანტონ ჭათალიკოზისა.	2—50 ,,
დავთი გურამიშვილი	1— ,,
ქართლის ცხოვრება I, II და III.	1—80 ,,
Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп.	—40 ,,
Исторія Грузинск. церк. Е. К.	2 р. ,,
კალმასობა ივანე ბატონიშვილისა	1— ,,
ამირან-დარეჯანიანი	1— ,,
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა	1— ,,
რამას განდეგნა ალ. ს—შვილისა.	—40 ,,

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. ალბაშიძისა, ვაჟა-ფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

სურათი თამარ მეფისა დიდი	1—50 ,,
„ „ „ პატარა.	6 ,,
„ აკაკისა ბრესტოლის ქალაქზე.	50 ,,
„ ილია ჭავჭავაძისა	50 ,,
„ ალექსანდრე ყაზბეგისა	50 ,,
,, რაფიელ ერისთავისა.	40 ,,
,, ბარათაშვილისა	50 ,,
,, ვეგნატე ნინოშვილისა	30 ,,
,, გიორგი წერეთლისა	30 ,,
,, ლეონიდე ეპისკოპოზისა	30 ,,

ᲧᲐᲖᲣᲠᲘ თამარისადმი ვეფხ. ტყაოს. მიმართ. 50 ,, საქართველოს დიდება, სანინისა. 1—20 ,, სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო. —5 ,,

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ეროვნული ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი ᲡᲝᲡᲘᲙᲝ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲮᲣᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

წიგნის მაღაზია „ᲪᲝᲓᲜᲐ“-Ს გამოცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჯა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაქველისა	10 ,,
სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისასა, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—40). **მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.**

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

ᲚᲐᲚᲐᲙᲘ,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა **ორ აბაზად**, აგრედვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული **შორეულ აღმოსავლეთის დაფარდებული**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲙᲐ

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ᲗᲘᲡᲐᲙ კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **ᲘᲣᲘᲓᲔᲕᲘᲗ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემშვებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ᲝᲜᲓᲚᲝᲚᲘᲐᲜᲘ“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაპკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულგამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ᲝᲜᲓᲚᲝᲚᲘᲐᲜᲘ“** ანაშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხვედა კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ᲝᲜᲓᲚᲝᲚᲘᲐᲜᲘ“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშინი არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„ᲝᲜᲓᲚᲝᲚᲘᲐᲜᲘ“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ აღგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნაკელ გადაკრული აპარატი ჰყრის **4** მან. **90** კაპ., შვეცარსლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოსტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ.

(5—5—)

Дозволено цензурою Тифлисъ, 4 ноября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.